

ექსპერიმენტი

„თვითნაკეთი ბარომეტრი“

ექსპერიმენტის არსი

იდეა იმისათვის, თუ როგორ გავაკეთოთ სახლის ბარომეტრი

საკვანძო სიტყვები

ატმოსფერული წნევა

საჭირო მასალა

- ქილა (მაგ.: ხილვაფის)
- საჰაერო ბუმტი
- გრძელი ჩხირი (კბილსაწმენდი ან მწვადის)
- წვენი საწრუპავი მილაკი
- წებოვანი ლენტი
- რეზინი
- მუყაო
- სახაზავი
- მარკერი

ყურადღება! უსაფრთხოება 🚫:

ექსპერიმენტი უსაფრთხოა

განხორციელება

ქილას დავახუროთ გადაჭრილი საჰაერო ბუმტისგან მიღებული აპკი და დავამგროთ ის რეზინის რკალით და წებოვანი ლენტით. აპკს მივაწებოთ გრძელი ჩხირი ისე რომ, მისი 2/3 ქილის კიდე სცდებოდეს. ეს ჩხირი ბარომეტრის ისარი იქნება.

დავხაზოთ მუყაოზე საორიენტაციო სკალა. მისი მეშვეობით შენ გეცოდინება დღის განმავლობაში წნევა იზრდებოდა თუ ეცემოდა. სკალა სახაზავის მსგავსად უნდა დამზადდეს - აღვნიშნოთ თითოეული მილიმეტრი პატარა ხაზით და დავიტანოთ მასზე პირობითი სიდიდეები (ეს შეიძლება იყოს ციფრები: 1, 2, 3...). მუყაო, ქილის



Fundacja Partners Polska




ბუნებრივად
საინტერესო
გაკვეთილი



CENTRUM NAUKI
KOPERNIK

გვერდით ისე უნდა მოვათავსოთ, რომ ისარი მიუთითებდეს სკალაზე აღნიშნულ რომელიმე სიდიდეზე.

აწარმოე დაკვირვება ბარომეტრის ისარზე. გააკეთე ეს ყოველდღიურად და ჩაიწერე მონაცემები.



განმარტება


ატმოსფერული წნევის ცვლილების შესაბამისად ისარი სკალაზე სხვადასხვა სიდიდეს აჩვენებს. ქილის შიგნით წნევა უცვლელი რჩება - რეზინის აკვამჭიდროდ ჩაკეტა ჰაერი ქილაში და შეუძლებელი გახადა ქილის გარე და შიგა არეს შორის ჰაერის გაცვლის შესაძლებლობა. ამავდროულად, ატმოსფერული წნევის ზრდასთან ერთად, რეზინის აკვი ჩაიზნიქება ქილის შიგნით, ისარი კი ზემოთ აიწევს. როდესაც ეცემა წნევა, აკვზე წარმოიქმნება ამოზნექილობა, ისარი კი ქვემოთ დაიწევს.

ალტერნატიული ვარიანტები

წნევის ცვლილებაზე დაკვირვების გარდა, ჰაერის ტემპერატურასა და ტენიანობაზე დაკვირვებაც შეიძლება აწარმოო. ამ მონაცემების ერთობლიობა შექმნის დღის მეტეოროლოგიურ სურათს.



პოლონეთის დახმარება

 მასალა შემუშავებულია პროგრამა „ბუნებრივად საინტერესო გაკვეთილის“ მორიგი ეტაპების ფარგლებში, რომლებიც თანადაფინანსებულია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავითარებისათვის თანამშრომლობის პოლონური პროგრამის ფარგლებში. პუბლიკაცია ქვეყნდება Creative Commons ლიცენზიის საფუძველზე 3.0 პოლონეთის ავტორობის მითითებით. უფლებებზე ლიცენზია ნაწილობრივ ეკუთვნის „პარტნიორები პოლონეთიდან“ ფონდს და კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრს.